5-24

34(6
5-2

ამიერკავკასიის სოციალისტური ფედერატიული საბჭოთა რესპუბლიკის
მუშათა და გლეხთა მთავრობის

კანონთა და განკარგულებათა კრებული

1932 წლის თებერვლის 15	№ 4 განყოფილება პირველი	ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს საქმეთა მმართველობის გამოცემა.

შინაარსი:

დადგენილება ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსი და სრულიად საკავშირო კომუნისტური პარტიის (ბ) ამიერკავკასიის სამხარეო კომიტეტისა.

მუხ. 28. 1932 წლის საგაზაფხულო სასოფლო-სამეურნეო კამპანიის გეგმის შესახებ.

დადგენილებანი ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსი.

„ 29. სამეცნიერო-საკვლევო ინსტიტუტების ქსელის გადასინჯვის შესახებ.
„ 30. სახელმწიფო არბიტრაჟის ორგანოების მუშაობის განმტკიცების ღონისძიებათა შესახებ.

დადგენილება ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსი და სრულიად საკავშირო კომუნისტური პარტიის (ბ) ამიერკავკასიის სამხარეო კომიტეტისა.

28. 1932 წლის საგაზაფხულო სასოფლო-სამეურნეო კამპანიის გეგმის შესახებ.

I.

1932 წლის საგაზაფხულო სასოფლო-სამეურნეო კამპანიამ უნდა უზრუნველჰყოს ამიერკავკასიის სოფლის მეურნეობის სოციალისტური რეკონსტრუქციის შემდგომი განვითარება, როგორც ძირითადად ტეხნიკური და სპეციალური კულტურებისა და მეცხოველეობის რაიონისა.

ამიერკავკასიის პარტიული და საბჭოთა ორგანიზაციების წინაშე საგაზაფხულო სასოფლო-სამეურნეო კამპანია აყენებს კოლექტიური მეურნეობების საორ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

განიზაციო-სამეურნეო და პოლიტიკური განმტკიცების ამოცანას და ამ ბაზისზე კოლექტიური მეურნეობის შემდგომი ზრდის ამოცანას, რაც ძირითადად 1932 წელს უნდა დამთავრდეს მთლიანი კოლექტივიზაციით ძირითად საბამბე რაიონებში.

ამასთან ერთად უაღრესი მნიშვნელობის ამოცანაა საბჭოთა მეურნეობების შემდგომი მეურნეობრივი განმტკიცება და სოფლის მეურნეობის მძღვანებელი დარგების პროდუქციის ზრდის რაც შეიძლება უფრო მაღალი ტემპების უზრუნველყოფა.

1932 წ. საგაზაფხულო სასოფლო-სამეურნეო კამპანიის დროს განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს თვისებრივ მაჩვენებელთა და მოსავლიანობისა და ოთხფეხი საქონლის პროდუქტიანობის მაქსიმალურ ზრდას.

საგაზაფხულო სასოფლო-სამეურნეო კამპანიის წინაშე მდგარი უაღრესი მნიშვნელობის პოლიტიკური და სამეურნეო ამოცანების გადაწყვეტის უზრუნველყოფა ა/კსფსრ პარტიულ და საბჭოთა ორგანიზაციებს შეეძლიანთ მხოლოდ 1931 წელს საგლეხო საკითხში ჩადენილი შეცდომების მკვეთრად გასწორებით, კულაკობის წინააღმდეგ გადამწყვეტი ბრძოლის გაშლით და ოპორტუნისტული „თვითმდინარებისა“ და „მემარცხენე“ გადახრების ულმობელი შემუსვრით.

ამიერკავკასიის პარტიულმა და საბჭოთა ორგანიზაციებმა უნდა გარდაქმნან თავიანთი მუშაობა სრულიად საკავშირო კომუნისტური პარტიის (ბ) ცენტრალური კომიტეტის დადგენილების საფუძველზე, რომელი დადგენილებაც გამოტანილია სრულიად საკავშირო კომუნისტური პარტიის (ბ) ამიერკავკასიის სამხარეო კომიტეტისა და რესპუბლიკების ცენტრალური კომიტეტების მოხსენებების გამო, და მთელი თავიანთი მუშაობა უნდა მოაწყონ იმ თვალსაზრისის მიხედვით, რომ უზრუნველყოფილ იქნეს არსებული კოლექტიური მეურნეობების პოლიტიკური და საორგანიზაციო-სამეურნეო განმტკიცება და ამ საფუძველზე უზრუნველყოფილ იქნეს საკოლმეურნეო მშენებლობის რეალური ზრდა.

ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭო და სრულიად საკავშირო კომუნისტური პარტიის (ბ) ამიერკავკასიის სამხარეო კომიტეტი ადგენენ:

1. მიღებულ იქნეს 1932 წლის საანეულო კულტურების თესვის შემდეგი გეგმა:

ათასობითი ჰექტარი

	აზ. სსრ	სომხ. სსრ	საქ. სსრ	ა/კსფსრ
ხორბალი	14,0	143,0	58,7	215,7
შვრია	5,0	3,0	2,0	10,0
ქერი	21,0	85,0	72,0	178,0
სიმინდი	—	—	389,0	389,0
ცერცოვანი	15,0	2,0	1,3	18,3
ბრინჯი	26,0	—	—	26,0
სხვა მარცვლეული	4,0	12,0	6,5	22,5
სულ მარცვლეული . . .	85,0	245,0	529,5	859,5

ბამბა	227,0	30,0	28,0	285,0
სელი თესლისათვის	—	6,0	1,5	7,5
მზეუჭვრიტა	1,5	0,3	4,6	6,4
საშაქრე ჭარხალი	—	1,0	3,0	4,0
თამბაქო	3,0	3,0	28,0	34,0
ერთწლოვანი ხრალეული . . .	10,0	—	—	10,0
კუნჯუთი	4,0	—	—	4,0
არახისი	3,0	—	10,0	13,0
სხვა ტეხნ. კულტ.	1,5	0,3	2,3	4,1
სულ ტეხნ. კულტ. . . .	250,0	40,6	77,4	368,0
ბალახები	21,0	19,0	20,0	60,0
სასილოსე ნათესები	4,0	4,5	4,5	13,0
ფესვნარები	3,5	1,5	3,0	8,0
სულ საქონლის საკვები .	28,5	25,0	27,5	81,0
კარტოფილი	12,0	14,0	19,0	45,0
ბოსტნები	14,0	6,0	19,5	39,5
ბაღჩები	8,0	0,8	3,2	12,0
ბატატები	—	—	0,2	0,2
სულ საბოსტნე, საბაღჩე და კარტოფილის ნათესი . .	34,0	20,8	41,9	96,7
სულ ნათესები	397,5	331,4	876,3	1605,2
კვლებს შუა ნათესი მთლიან ნათესზე გადატანით:				
სოია	—	—	50,0	50,0
ლობიო	—	—	20,0	20,0

მიენდოს რესპუბლიკების სახალხო კომისართა საბჭოებს და ა/კსფსრ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატს—დაამუშაონ ერთი დეკადის ვადაზე საშემოდგომო ნათესების დანაკლისის შევსების საკითხი 1932 წ. გაზაფხულის საანეულო კულტურების თესვის დავალებათა გაფართოებით და წარუდგინონ დასამტკიცებლად ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს სათანადო ღონისძიებათა პროექტი არა უგვიანეს 1932 წ. თებერვლის 1-სა.

2. საანეულო ნათესთა მინიმალური დავალებანი საბჭოთა მეურნეობების შეერთებისათვის განისაზღვროს შემდეგი რაოდენობით (ათასობითი ჰექტარით):

	აზ. სსრ	სომხ. სსრ	საქ. სსრ	ა/კსფსრ
ა/კ. საჯიშე მეთესლ. ტრესტი . .	2,9	1,0	2,7	6,6
საბჭოთა საბამბე მეურნ.	25,0	3,0	7,0	35,0
აქედან ბამბა	16,0	1,0	5,5	22,5
ახალი ხრალეული კულტ. ტრესტი	2,0	—	2,0	4,0
აქედან ხრალ. კულტ.	1,5	—	0,6	2,1
წამლების ტეხნ. ნედლეულ. . . .	0,13	0,07	0,42	0,62
აქედან წამლებისა და ეთეროვანი კულტურ.	0,13	0,07	0,20	0,40
„ომპკ"-ი	—	—	0,82	0,82
„სოიუზტაბაკ" (თამბაქოს ნათესები)	0,2	0,3	0,73	1,23
„მასლოტრესტ"-ი	4,0	4,2	2,8	11,0
„ოვცევოდ"-ი	0,3	0,2	—	0,5
საკონსერვო ტრესტი	0,7	0,2	0,6	1,5
რესპუბლიკანური ტრესტები . . .	0,6	1,0	10,7	12,3
სულ საანეულო კულტ.	35,83	9,97	27,7	73,58

დაევალოს ა/კ. სამომხმარებლო კოოპერაციის კავშირს, „სოიუზსახარ"-ის რწმუნებულს, საკონსერვო ტრესტს და „სვინოვოდ"-ს, რესპუბლიკების მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატებთან ერთად, განსაზღვრონ ერთი დეკადის ვადაზე საანეულო კულტურების თესვის გეგმა და აგრეთვე პროდუქტიული ოთხფეხი საქონლის რაოდენობა სამომხმარებლო კოოპერაციის სისტემის საბჭოთა მეურნეობებში და გაანაწილონ საწარმოო დავალებანი ცალკეულ საწარმოო ობიექტებზე, რაც, ა/კსფსრ მიწათმოქმედებია სახალხო კომისარიატთან შეთანხმებით, წარუდგინონ დასამტკიცებლად ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს არა უგვიანეს თებერვლის 1-სა.

3. კოლექტიური მეურნეობების საანეულო ნათესების გეგმა ა/კსფსრ-ში და რესპუბლიკებში განისაზღვროს ორიენტირულად (ათასობითი ჰექტარით):

	აზ. სსრ	სომხ. სსრ	საქ. სსრ	ა/კსფსრ
მარცვლეული კულტ.	35	85	185	305
ბამბა	154	20	15	189
სხვა ტეხნ. კულტურ.	14	6	24	44
საქონლის საკვები კულტ.	19	17	14	50
ბოსტნეული და ბაღჩეული კულტ.	11	9	15	35
სულ ნათესი კოლექტ. მეურნ. . .	233	137	253	623

1932 წლის სასოფლო-სამეურნეო კამპანიის სარაიონო გეგმების შედგენის დროს ანგარიშში მიღებულ უნდა იქნეს არსებული კოლექტიური მეურნეობების ფართობი, მოსალოდნელი საკოლმ. ნაკადის ვარაუდში მიუღებლად.

კოლექტიური მეურნეობების საწარმოო გეგმები შედგენილ უნდა იქნეს კოლექტიურ მეურნეობებში ქონებული სათესი ფართობის მიხედვით, ახალი

ეროვნული ბიბლიოთეკა

მეურნეობრივად გამოსაყენებელი (ჯერ კიდევ არგამოყენებული) მიწებისა და იმ მიწების ანგარიშში მიღებით, რომლებზედაც მძღვანებელმა ტეხნიკურმა კულტურებმა (ჩაი, ბამბა, თამბაქო, რამი და სხვა მისთ.) უნდა გამოდევნოს მეორეხარისხოვანი კულტურები.

რესპუბლიკების სახალხო კომისართა საბჭოებმა და საკოლმეურნეო ცენტრებმა უნდა დაავალონ სარაიონო აღმასრულებელ კომიტეტებსა და სარაიონო საკოლმეურნეო კავშირებს—სისტემატიურად თვალყური ადევნონ და უშუალო ხელმძღვანელობა გაუწიონ კოლექტიური მეურნეობების სამუშაო გეგმების ხელახლად შედგენას კოლექტიური მეურნეობების ფაქტიური გაფართოების მიხედვით მათში ახალი მეურნეობების შესვლის გამო.

წინადადება მიეცეს რესპუბლიკების მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატებს, საკოლმეურნეო ცენტრებს და სახელმწიფო საგეგმო კომისიებს—უშუალო მონაწილეობა მიიღონ 1932 წლის საგაზაფხულო სასოფლო-სამეურნეო კამპანიის საწარმოო გეგმების შედგენაში რაიონებსა და კოლექტიურ მეურნეობებში.

4. მრავალწლოვან ნარგავთა ფართობი 1932 წლისათვის კოლექტიური მეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ხაზით განისაზღვროს შემდეგი რაოდენობით (ათასობითი ჰექტარით):

წ ლ ი უ რ ი გ ე გ მ ა

	აზ. სსრ		სომხ. სსრ		საქ. სსრ		ა/კსფსრ	
	ს ა ნ	აქედან საბჭ. მეურნ.	ს ა ნ	აქედან საბჭ. მეურნ.	ს ა ნ	აქედან საბჭ. მეურნ.	ს ა ნ	აქედან საბჭ. მეურნ.
ჩ ა ი	0,5	0,5	—	—	24,5	5,5	25,0	6,0
ხილის ბაღები	2,5	1,2	1,3	0,8	3,35	1,15	7,15	3,15
ხილის სანერგეები	0,18	0,11	0,18	0.13	0,24	0,11	0,6	0,35
ციტრუსები	0,1	0,1	—	—	1,05	1,0	1,15	1,1
ციტრ. სანერგ.	—	—	—	—	0,25	0,25	0,25	0,25
ვენახები	3,9	1,6	1,2	0,6	2,0	0,9	7,1	3,1
ამერიკული ვაზის სანერგეები	—	—	—	—	1,2	0,8	1,2	0,8
მხილეული	0,4	0,1	0,2	0,1	0,4	0,1	1,0	0,3
რამი	1,0	0,2	—	—	11,0	3,0	12,0	3,2
კენდირი	2,0	2,0	—	—	—	—	2,0	2,0
თუთის ნარგავები	4,5	0,5	0,65	0,25	4,75	0,75	9,9	1,5
კაუჩუკის მცენარ.	0,5	0,5	—	—	—	—	0,5	0,5
სულ მრავალწლოვ ნარგავ.	15,58	6,81	3,53	1,88	48,74	13,56	67,85	22,25

საგაზაფხულო სას.-სამ. კამპანიის გეგმა
(1932 წლის 1-ლი ნახევარწელიწადი)

	აზ. სსრ		სომხ. სსრ		საქ. სსრ		ა/კსფსრ	
	ს/ ს	აქედან საბჭ. მეურნ.	ს/ ს	აქედან საბჭ. მეურნ.	ს/ ს	აქედან საბჭ. მეურნ.	ს/ ს	აქედან საბჭ. მეურნ.
ჩაი	0,2	0,2	—	—	10,4	2,5	10,6	2,7
ხილის ბაღები	1,2	0,7	0,9	0.6	2,1	0,5	4,2	1,8
ხილის სანერგეები	0,18	0,11	0,18	0,13	0,2	0,1	0,56	0,3
ციტრუსები	0,1	0,1	—	—	1,05	1,0	1,15	1,1
ციტრუს. სანერგ.	—	—	—	—	0,25	0,25	0,25	0,25
ვენახები	1,8	0,8	1,2	0,6	1,5	0,8	4,5	2,2
ამერიკული ვაზის სანერგეები	—	—	—	—	1,2	0,8	1,2	0,8
მხილეული	0,2	0,05	0,1	0,05	0,1	0,1	0,4	0,2
რამი	0,3	0,1	—	—	2,7	—	3,0	0,1
კენდილი	1,0	1,0	—	—	—	—	1,0	1,0
თუთის ნარგავ.	1,2	0,5	0,375	0,25	3,15	0,75	4,725	1,5
სულ მრავალწ. ნარგავები 1-ლ ნახევარწელიწადს	6,18	3,56	2,755	1,63	25,52	6,8	31,585	11,99

მეცხოველეობის საბჭოთა მეურნეობებში პირუტყვის სულთა რაოდენობა 1932 წლის ბოლოსთვის—აქედან 1-ლ ნახევარწელიწადშიაც—მიღწევინებულ იქნეს შემდეგ რაოდენობამდე (ათასი სულობით):

	აზ. სსრ		სომხ. სსრ		საქ. სსრ		ა/კსფსრ	
	წლიური გეგმა	ს/ აქედან 1-ნახევარწ.	წლიური ს/ გეგმა	ს/ აქედან 1-ნახევარწ.	წლიური გეგმა	ს/ აქედან 1-ნახევარწ.	წლიური გეგმა	ს/ აქედან 1-ნახევარწ.
1 „ოეცევოდ"-ი								
ცხვარი	130	115	70	65	—	—	200	180
2. "მასლოტრესტ"-ი								
საერთო რაოდ.	14,5	—	14,6	—	11,3	—	40,4	—
აქედან ძროხები	8,0	7,0	8,0	7,0	7,0	6,4	23,0	20,4
3. საჯიშე საბჭ. მეურნეობა								
საერთო რაოდენ.	—	—	6,5	—	—	—	6,5	—
აქედან ძროხები	—	—	3,6	3,0	—	—	3,6	3,0
4. მეცხენეობის ტრესტი								
დედა-ცხენი	2,5	1,4	1,25	0,5	0,75	0,5	4,5	2,4
5. „სვინოვოდ"-ი								
საერთო რაოდ.	—	—	3,5	—	26,5	—	30,0	—
აქედან დედა-ღორი	—	—	0,5	0,5	4,0	4,0	4,5	4,5
6. რესპ. საბჭ. მეურნ.								
ცხვარი	—	—	—	—	160,0	160,0	160,0	160,0
ძროხები	—	—	—	—	3,0	2,5	3,0	2,5

ეროვნული ბიბლიოთეკა

კოლექ. მეურ. სასაქონლო ფერმებში პირუტყვის სულთა რაოდენობა 1932 წლისთვის—აქედან 1-ლ ნახევარწელიწადისთვის—განისაზღვროს შემდეგი რაოდენობით (ათასი სულობით):

	აზ. სსრ		სომხ. სსრ		საქ. სსრ		ა/კსფსრ	
	წლიური გეგმა	აქედან 1-ლ ნახევარწ.	წლიური გეგმა	აქედან 1-ლ ნახევარწ.	წლიური გეგმა	აქედან 1-ლ ნახევარწ.	წლიური გეგმა	აქედან 1-ლ ნახევარწ.
1. რძის სასაქონლო ფერმები								
საერთო რაოდენობა	76,0	—	50,0	—	74,0	—	200,0	—
აქედან ძროხები	38,0	25,5	25,0	18,0	37,0	20,0	100,0	63,0
2. ნორჩი პირუტყ. აღმზრდ. ფერ.	38,0	21,0	25,0	12,0	37,0	17,0	100,0	50,0
3. „სვინოვოდ-"ის სასაქ.ფერმები								
საერთო რაოდენობა	10,0	—	17,0	—	33,0	—	60,0	—
აქედან დედა-ღორი	3,5	2,5	6,0	4,5	12,5	7,0	22,0	14,0
4. „ოვცევოდ"-ის სასაქ. ფერმები.	250,0	200,0	125,0	100,0	225,0	150,0	600,0	450,0
5. ინკუბატორული მეფრინვ. სასაქონლო ფერმები	200,0	40,0	100,0	20,0	200,0	40,0	500,0	100,0
6. მეცხენ. სასაქ. ფერმ. . . .	1,4	—	0,9	—	1,1	—	3,4	—
აქედან დედა-ცხენი	0,9	0,6	0,6	0,6	0,7	0,5	2,2	1,7
7. შინაური კურდღ. სასაქ. ფერმ.	7,0	1,0	6,0	1,0	7,0	1,0	20,0	3,0

მეაბრეშუმეობის საგაზაფხულო გეგმა განისაზღვროს:

აზერბაიჯანის სსრ-ში	—100,0	ათასი აბრეშუმის ჭიის თესლის კელოფით.
სომხეთის სსრ-ში	— 3,0	„ „ „ „ „
საქართველოს სსრ-ში	—100,0	„ „ „ „ „
ა/კსფსრ-ში	— 203,0	„ „ „ „ „

II.

1932 წლის საგაზაფხულო საწარმოო დავალებათა შესრულების უზრუნველყოფის მიზნით წინადადება მიეცეს ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების სახალხო კომისართა საბჭოებსა და ა/კსფსრ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატს:

1. გაშალონ წყალსამეურნეო მშენებლობა ასეთი ვარაუდით, რომ 1932 წელმა მოგვცეს ფართობთა შემდეგი ნამატი მშენებლობის სახეების მიხედვით (ათასი ჰექტარობით):

	აზ. სსრ	სომხ. სსრ	საქ. სსრ	ა/კსფსრ
ა) დიდრონი მშენებლობანი	21,5	7,0	8,0	36,5
ბ) წყალსაქანთა მშენებლობა	18,0	—	—	18,0
გ) წვრილი მშენებლობა	16,7	5,8	13,1	35,6
დ) ექსპლოატ. გაუმჯობესება და გამოდევნა . . .	23,0	7,0	10,0	40,0
ჯ ა მ ი	79,2	19,8	31,1	130,1

ა/კსფსრ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატმა უნდა წარუდგინოს ერთი დეკადის ვადაზე ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს დასამტკიცებლად კონკრეტული დავალებანი წყალსამეურნეო სამუშაოთა ცალკეული ობიექტიების ხაზით მისაღებ ფართობთა მიხედვით და სამუშაოთა შესრულების ზედმიწევნითი ვადების განსაზღვრით.

2. დაევალოს ა/კსფსრ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატს და ა/კ. ტრაქტორცენტრს—დაამთავრონ არა უგვიანეს თებერვლის 1-სა ცხრამეტი ახალი სამანქანო-სატრაქტორო სადგურის მოწყობის სამუშაოები—ამ სადგურების შემდეგი განაწილებით რესპუბლიკებზე და საწარმოო მიმართულებებზე:

	აზ. სსრ	სომხ. სსრ	საქ. სსრ	ა/კსფსრ
ბამბისა	6	1	2	9
თამბაქოსი	—	—	1	1
რამისა	—	—	1	1
ხეხილისა და ყურძნისა	1	1	1	3
შაქრის ჭარხლისა	—	—	1	1
მარცვლეულ-მეცხოველეობისა	—	1	1	2
ბრინჯისა	2	—	—	2
ჯ ა მ ი	9	3	7	19

1932 წლის გაზაფხულისათვის ახალი სამანქანო-სატრაქტორო სადგურების მოსაწყობად და არსებულთა შესავსებად შემოსაზიდი ტრაქტორების საერთო მოცულება განისაზღვროს 7.700 HP რაოდენობით; აქედან: 3.800—აზერბაიჯანის სსრ-თვის, 1,150—სომხეთის სსრ-თვის და 2.750—საქართველოს სსრ-თვის.

დაევალოს რესპუბლიკების სახალხო კომისართა საბჭოებს—მოისმინონ და დაამტკიცონ თებერვლის 1-თვის სამანქანო-სატრაქტორო სადგურების საწარმოო გეგმის ძირითადი მაჩვენებლები—თვითეული სადგურისათვის.

აღინიშნოს, რომ სამანქანო-სატრაქტორო სადგურებმა ჯერ კიდევ ვერ შესძლეს თავიანთი მუშაობის სავსებით გაშლა მათ მიერ მოცული რაიონების სასოფლო მეურნეობის კომპლექსური მომსახურეობისა და სოციალისტური რეკონსტრუქციის პროცესების ხელმძღვანელობის მიმართულებით, და წინადადება

ეროვნული ბიბლიოთეკა

მიეცეს რესპუბლიკების ცენტრალურ კომიტეტებს, ა/კსფსრ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატს და ა/კ. ტრაქტორცენტრს—უზრუნველჰყონ სამანქანო-სატრაქტორო სადგურების განმტკიცება სათანადო კადრებით და სამეურნეო-პოლიტიკური როლის გაძლიერება სასოფლო მეურნეობის სოციალისტურად გარდაქმნის საქმეში. კერძოდ, დაევალოს სამანქანო-სატრაქტორო სადგურებს—უზრუნველჰყონ მათ მიერ მოცული რაიონების სასოფლო მეურნეობისათვის აგრო-საწარმოო მომსახურეობის გაწევა მთლიანად; აძასთანავე, არ უნდა შეასუსტონ ყურადღება რაიონის სასოფლო მეურნეობის მძღვანებელი დარგისადმი.

3. რადგანაც 1932 წელმა უნდა მოგვცეს რადიკალური გარდატეხა სასოფლო მეურნეობის თივსებრივ მაჩვენებელთა გადიდებისა და გაუმჯობესების ტემპებში (მოსავლიანობა, მეცხოველეობის პროდუქციის გამოსავლის ნორმები), წინადადება მიეცეს რესპუბლიკების სახალხო კომისართა საბჭოებს, ა/კსფსრ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატს, ა/კ. საკოლმეურნეო ცენტრს და ა/კ. ტრაქტორცენტრს —უზრუნველჰყონ სათანადო აგრიკულტურულ და აგრო-ტეხნიკურ ღონისძიებათა მაქსიმალური გაშლა. კერძოდ—უზრუნველჰყონ შემდეგ ძირითად ლონიიძიებათა განხორციელება:

ა) შეტანილ იქნეს მინერალური სასუქი 90.000 ჰექტარ საერთო ფართობზე; აქედან: ბამბისა—70.000 ჰექტ., ჩაისა—7,000 ჰექტ. თამბაქოსი—5.000 ჰექტ.;

მინერალური სასუქის სრულიად საკავშირო შენაერთმა უნდა უზრუნველჰყოს საჭირო რაიონებში მინერალური სასუქის თავის დროზე შემოზიდვა, ხოლო ა/კსფსრ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატმა თვალყური უნდა ადევნოს ამ დავალების შესრულებას;

ბ) ა/კსფსრ მიწმთმოქმედების სახალხო კომისარიატმა და სასოფლო და სატყეო მეურნეობის მავნებლებთან ბრძოლის საკავშირო შენაერთის ა/კ. კონტორამ მაქსიმალურად უნდა გაშალონ ღონისძიებანი სოფლის მეურნეობის კულტურების მავნებლებთან და სენთან ბრძოლისათვის და არა უგვიანეს იანვრის 25-სა უნდა განსაზღვრონ, სამუშაოთა ძირითადი სახეების მიხედვით, კონკრეტულ ღონისძიებათა მოცულობა, სასოფლო მეურნეობის მავნებლებთან ბრძოლის ღონისძიებათა ჩატარების წესი და ამ ღონისძიებათა დაფინანსება; ამავე დროს დაევალოს სასოფლო და სატყეო მეურნეობის მავნებლებთან ბრძოლის საკავშირო შენაერთის ა/კ კონტორას და დაინტერესებულ სამეურნეო ორგანიზაციებს—დაამთავრონ თებერვლის 1-თვის ხელშეკრულებების გაფორმება სოფლის მეურნეობის მავნებლებთან ბრძოლის ღონისძიებათა ჩატარების შესახებ;

გ) მწკრივადი თესვით მოცულ იქნეს სავსებით ტეხნიკური კულტურების ნათესთა ფართობი; 1932 წლის საანეულო სამარცვლეულო კულტურების საერთო ფართობის მწკრივადი თესვის პროცენტი განისაზღვროს: აზერბაიჯანის სსრ-ში—50 პროცენტით, სომხეთის სსრ-ში—50 პროცენტით და საქართველოს სსრ-ში.—60 პროცენტით;

დ) ჩატარებულ იქნეს თავთავიანი მარცვლეული კულტურების სათესლე მასალის 100 პროცენტის გაწმენდა;

ე) თესლის დაწამლვით მოცულ იქნეს არა ნაკლებ საანეულო სამარცვლეულო კულტურების სათესლე მასალის 70%-ისა, ხოლო ძამხობელით დაავადებულ რაიონებში — 100 პროცენტისა.

4. დაევალოს ა/კსფსრ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატს და სასოფლო-სამეურნეო იარაღით და მანქანებით მომმარაგებელ ამიერკავკასიის საქციო საზოგადოებას, რესპუბლიკების მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატებთან ერთად, ხუთმეტი დღის ვადაზე საბოლოოდ გააზუსტონ 1932 წლის პირველი ნახევარწლის განმავლობაში მანქანებით მომარაგების გეგმა, რისთვისაც მხედველობაში უნდა მიიღოს, რომ საჭიროა უზრუნველ იქნეს საგაზაფხულო სას.-სამეურნეო კამპანიის საწარმოო დავალებათა აღსრულება.

ა/კსფსრ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატმა და რესპუბლიკების მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატებმა უნდა დაამთავრონ სასოფლო-სამეურნეო მანქანებისა და იარაღის რემონტი არა უგვიანეს 1932 წ. თებერვლის 20-სა, განსაკუთრებით სატრაქტორო პარკისა, რომელიც უზრუნველყოფილ უნდა იქნეს სათადარიგო ნაწილებით. პასუხისმგებლობა ამა პუნქტის შესრულებისათვის დაეკისროს ა/კსფსრ მიწმთმოქმედების სახალხო კომისარიატს, ა/კ. ტრაქტორცენტრს და რესპუბლიკების ტრაქტორცენტრებს.

5. ა/კსფსრ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატმა 10-დღის ვადაზე უნდა შეადგინოს საბოსტნე კულტურებისა, კარტოფილისა და საქონლის საკვები კულტურების თესლის საბოლოო ბალანსები; განსაზღვროს თვითეული ცალკე ორგანიზაციისათვის თესლეულის დამზადების კონკრეტული დავალებანი, ა/კსფსრ-ში თესლეულის შემოზიდვის გეგმა და ამ თესლსულით საბჭოთა მეურნეობებისა და კოლექტიური მეურნეობების მომარაგების წესი. ამავე ვადისათვის ა/კსფსრ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატმა საბოლოოდ უნდა გააზუსტოს მრავალწლოვანი კულტურების სანერგე მასალის შესახები საკითხები, პირველ რიგში—ციტრუსოვანებისა, ხილეულობისა და მევენახეობის ხაზით, და წარუდგინოს ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს სათანადო მოხსენება.

6. რესპ-ბის სახალხო კომისართა საბჭოებმა, ა/კსფსრ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატმა და ა/კ. საკოლმეურნეო ცენტრმა დაუყოვნებლივ უნდა გაშალონ კოლექტიურ მეურნეობებში სათესლე ფონდის დაგროვება ისეთი რაოდენობით, რაც უზრუნველჰყოფს კოლექტიურ მეურნეობებში თესვის გეგმის 100 პროცენტით შესლებას.

ამასთან ერთად დაჩქარებულ უნდა იქნეს სადამზღვევო სათესლე ფონდების დაგროვება—ისეთი ვარაუდით, რომ არა უგვიანეს თებერვლის 5-სა სავსებით შესრულებულ იქნეს საშემოდგომო თესვის კამპანიის დროს დადგენილი გეგმა.

7. საანეულო კულტურების კონტრაქტაციის ჩატარების ღონისძიებათა თავის დროზე გაშლის მიზნით წინადადება მიეცეს ა/კსფსრ მომარაგების სახალხო კომისარიატს—დაიმუშაოს ხუთი დღის ვადაზე ყოველგვარი სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის კონტრაქტაციის ჩატარების პირობები და წესი და, ა/კსფსრ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატთან შეთანხმებით, წარუდგინოს, არა უგვიანეს იანვრის 25-სა, ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს სათანადო დადგენი-

ლების პროექტი, რის შემდეგაც დაუყოვნებლივ შეუდგეს კონტრაქტაციის ჩატარებას.

8. რადგანაც საადგილმამულო და საკოლმეურნეო ორგანოების ერთ-ერთ უაღრესი მნიშვნელობის სამეურნეო-პოლიტიკურ ამოცანას შეადგენს სახელმწიფოსათვის საბჭოთა მეურნეობებისა და კოლექტიური მეურნეობების სასაქონლო პროდუქციის ჩაბარების უზრუნველყოფა,—წინადადება მიეცეს ა/კსფსრ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატს, ა/კ. საკოლმეურნეო ცენტრს, საბჭოთა მეურნეობების ყველა შენაერთს და სადარგო საკოლმეურნეო ცენტრებს—შეიმუშაონ და არა უგვიანეს თებერვლის 10-სა წარუდგინონ დასამტკიცებლად ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს სახელმწიფოსათვის საბჭოთა მეურნეობებისა და საკოლმეურნეო სასაქონლო ფერმების სასაქონლო პროდუქციის ჩაბარების გეგმა.

III.

ა. საბჭოთა მეურნეობების მშენებლობის სფეროში.

1. ა/კსფსრ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატმა უნდა წარუდგინოს ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს თებერგლის 10-თვის არსებული საბჭოთა მეურნეობების გაფართოებისა და ახალი საბჭოთა მეურნეობების მოწყობის გეგმა—საჭირო საშენი მასალის ზედმიწევნითი გამოანგარიშებით.

2. აღინიშნოს, რომ საბჭოთა მეურნეობებმა არასაკმარისად გამოიყენეს მიჩენილი მიწები და წინადადება მიეცეს ა/კსფსრ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატს და რესპუბლიკების მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატებს—უზრუნველჰყონ 1932 წელს საბჭოთა მეურნეობების განვითარება—პირველ რიგში არსებული საბჭოთა მეურნეობებისათვის მიჩენილი მიწის ფონდების მაქსიმალური გამოყენებით.

3. აღინიშნოს, რომ საბჭოთა მეურნეობების შენაერთების უმეტესობამ 1931 წელს ვერ მოახერხა საბჭოთა მეურნეობების მუშა-ძალით უზრუნველყოფის საკითხის გადაწყვეტა—ამ მუშა-ძალის სათანადოდ მოგროვების მოწყობისა და გამოყენების უუნარობის გამო, რაც ერთ-ერთი უმთავრესი მიზეზია მთელი რიგი საბჭოთა მეურნეობების მიერ გეგმების შეუსრულებლობისა, განსაკუთრებით თვისებრივ მაჩვენებელთა ხაზით; ამისდამიხედვით, წინადადება მიეცეს საბჭოთა მეურნეობების ყველა შენაერთს, სახალხო შრომის კომისარიატისა და საკოლმეურნეო ცენტრის ორგანოებთან ერთად, დაუყოვნებლივ შეუდგეს კოლექტიურ მეურნეობებთან ხელშეკრულებების დადებას საგაზაფხულო სას.-სამეურნეო კამპანიისათვის მუშა-ძალის გამოყვანის შესახებ და აგრეთვე, პროფორგანოებთან ერთად, მიიღოს ღონისძიება საბჭოთა მეურნეობებში ნარდობაზე ნამდვილად გადასვლისა და დამკვრელობის და სოციალისტური შეჯიბრების ფართოდ გაშლისათვის.

4. აღინიშნოს, რომ მთელ რიგ საბჭოთა მეურნეობებში საფინანსო დისციპლინის დონე არადამაკმაყოფილებელ სიმაღლეზეა და რომ სამეურნეო ანგა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რიშზე გადასვლა ფორმალურია ან ნაწილობრივი; ამის გამო წინადადება მიეცეს ა/კსფსრ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატს, რესპუბლიკების მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატებთან ერთად, ჩაატაროს ერთი თვის ვადაზე საბჭოთა მეურნეობების გამოკვლევა იმ თვალსაზრისით, რომ მათ მიერ განხორციელებულ და განმტკიცებულ იქნეს სამეურნეო ანგარიში—მისი ცალკეულ საწარმოო ერთეულებამდე (ხუტორი, საწარმოო უბანი) მიწვდენით.

5. წინადადება მიეცეს საბჭოთა მეურნეობების ყველა შენაერთს—დაუყოვნებლივ გაშალოს მუშაობა საბჭოთა მეურნეობების საწარმოო-საფინანსო გეგმების შედგენისათვის—ისეთი ვარაუდით, რომ საბჭოთა მეურნეობების შენაერთების ჯუმლობითი საწარმოო-საფინანსო გეგმები ა/კსფსრ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატმა და რესპუბლიკების მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატებმა დაამტკიცონ არა უგვიანეს 1932 წ. თებერვლის 15-სა.

ბ. კოლექტიური მეურნეობების მშენებლობის სფეროში.

1. რადგანაც საკოლმეურნეო მშენებლობის ძირითად ამოცანას დღეანდელ ეტაპზე შეადგენს არსებული კოლექტიური მეურნეობების საორგანიზაციო-სამეურნეო და პოლიტიკური განმტკიცება, რაც ძირითადი პირობაა კოლექტიური მეურნეობების შემდგომი ზრდისთვის,—წინადადება მიეცეს ყველა პარტიულ, საბჭოთა და საკოლმეურნეო ორგანოს—დააყენოს ეს ამოცანა თავის მუშაობის ცენტრში და უზრუნველჰყოს მისი გადაწყვეტა შრომის სათანადო ორგანიზაციით კოლექტიურ მეურნეობებში,—ნარდობის ნამდვილი შთანერგვით და სოციალისტური შეჯიბრებისა და დამკვრელობის ფართო გაშლით, შრომის აღნუსხვის და შემოსავლის განაწილების სათანადო დაყენებით, მეურნეობის წარმოებაში სრულყოფილი აგრო-ტეხნიკური მეთოდების შთანერგვით და კოლექტიური მეურნეობების ძირითადი ფონდების გადიდებით სახელმწიფოს მიერ გასაწევი დახმარების რაციონალურად გამოყენების ბაზისზე, და განსაკუთრებით შიდა-საკოლმეურნეო საშუალებათა დანაგროვის მაქსიმალური მობილიზაციით.

2. კოლექტიური მეურნეობების საწარმოო-საფინანსო გეგმები უნდა გადაიქცეს 1932 წელს კოლექტიური მეურნეობების მობილიზაციის ერთ-ერთ ძირითად ფაქტორად მათ წინაშე მდგარი სამეურნეო-პოლიტიკური ამოცანების გადაწყვეტისათვის. ამიტომ კოლექტიური მეურნეობების საწარმოო-საფინანსო გეგმების შედგენა დამთავრებულ უნდა იქნეს არა უგვიანეს თებერვლის 15-სა—ისე, რომ ეს გეგმები წარმოადგენდეს 1932 წ. საწარმოო დავალებათა რეალიზაციის ოპერატიულ გეგმებს, პირველ ყოვლისა გაზაფხულის სას.-სამ. კამპანიისათვის.

3. დაევალოს რესპუბლიკების სახალხო კომისართა საბჭოებს და სადარგო საკოლმეურნეო ცენტრებს—დაამთავრონ არა უგვიანეს თებერვლის 1-სა სასაქონლო ფერმების გაშლის გეგმების შედგენა.

4. ა/კსფსრ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატმა უნდა შეიტანოს ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოში დასამტკიცებლად იმ ღონისძიებათა

პროექტი, რაც უზრუნველჰყოფს სოფლის მეურნეობისათვის 1932 წელს აგროსაწარმოო მომსახურეობის გაწევას და მისი დაფინანსების წესს.

IV.

1. დაევალოს რესპუბლიკების სახალხო კომისართა საბჭოებს—მიაწვდინონ არა უგვიანეს თებერვლის 1-სა რაიონებამდე გაზაფხულის სას.-სამ. კამპანიის საწარმოო დავალებანი—ისე, რომ კოლექტიურ მეურნეობამდე, სოფლამდე და საგლეხო კომლამდე გეგმების მიწვდენა და კულაკურ-შეძლებულ მეურნეობებისათვის მტკიცე დავალებათა მიცემა სათანადო კულტურების ხაზით დამთავრებულ იქნეს არა უგვიანეს თებერვლის 15-სა.

2. რესპუბლიკების მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატებმა უნდა დააწესონ და, არა უგვიანეს თებერვლის 1-სა, გამოაქვეყნონ ცალკეული სასოფლო-სამეურნეო სამუშაოების დაწყებისა და დამთავრების კონკრეტული ვადები სარაიონო ხაზით.

3. ა/კსფსრ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატმა, რესპუბლიკების სახალხო კომისართა საბჭოებთან ერთად, უნდა შეიმუშაოს ერთი დეკადის ვადაზე გაზაფხულის სას.-სამ. კამპანიისათვის კადრების მომზადების გეგმა სოფლის მეურნეობის ყველა დარგის მიხედვით და წარუდგინოს იგი დასამტკიცებლად ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს.

4. პასუხისმგებლობა როგორც საგაზაფხულო სას.-სამ. კამპანიის ყველა სამომზადებლო ღონისძიების თავის დროზე ჩატარებისა, ისე თვით კამპანიის ჩატარებისათვის დაეკისროს პერსონალურად ა/კსფსრ მიწათმოქმედების სახალხო კომისარს და ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების მიწათმოქმედების სახალხო კომისრებს.

5. სამხარეო და რესპუბლიკანურმა პრესამ და სარაიონო გაზეთებმა ფართო პოპულიარიზაცია უნდა აწარმოონ გაზაფხულის თესვის ყველა საბრძოლო სამეურნეო-პოლიტიკური ამოცანისა და მოახდინონ მასსების აქტიობის მობილიზაცია ამ ამოცანების შესრულებისათვის; რეგულიარულად უნდა გააშუქონ ამ უაღრესი მნიშვნელობის მქონე კამპანიის მსვლელობა და პარტიისა და მთავრობის ამა დირექტივების შესრულების ყოველდღიური შემოწმებით გაშალონ გადამწყვეტი ბრძოლა ოპორტუნისტული თვითდენის ყოველგვარი გამომეტყველებისა, „მემარცხენე“ გადახრებისა, ცალკეული ორგანიზაციების უმოქმედობისა და მოუქნელობის წინააღმდეგ.

„ზაკკნიგა“-მ და რესპუბლიკის სახელმწიფო გამომცემლობებმა უნდა უზრუნველჰყონ მასსური ლიტერატურის თავის დროზე გამოშვება თესვისა და საკოლმეურნეო მშენებლობის საკითხების პოპულარიზაციის სფეროში.

6. დაევალოს ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსთან და რესპუბლიკების სახალხო კომისართა საბჭოებთან არსებულ აღსრულების შემმოწმებელ კომისიებს—მოისმინონ ხოლმე ორ დეკადაში ერთხელ მაინც მიწათმოქმედების სა-

ხალხო კომისარიატების მოხსენებები 1932 წ. საგაზაფხულო სას.-სამ. კამპანიის სამომზადებლო ღონისძიებათა და თვით კამპანიის მსვლელობის შესახებ.

ა/კსფსრ სახალხო კომისართა
საბჭოს თავმჯდომარე **გ. მუსაბეკოვი.**

სრულიად საკავშირო კომუნისტური პარტიის (ბ)
ამიერკავკასიის სამხარეო კომიტეტის მდივანი **მ. ორახელაშვილი.**

1932 წ. იანვრის 24.
ტფილისი.

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა"-ს მე-20 №-ში 1932 წ. იანვრის 24-ს.

დადგენილება ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსი.

29. სამეცნიერო-საკვლევო ინსტიტუტების ქსელის გადასინჯვის შესახებ.

ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. ა/კსფსრ სახელმწიფო საგეგმო კომისიასთან არსებული ეკონომიურ გამოკვლევათა ინსტიტუტი რეორგანიზებულ იქნეს სამეცნიერო-საკვლევო და სასწავლო მარქსისტულ-ლენინურ დაწესებულებად — ეკონომიკის ინსტიტუტად ა/კსფსრ სახელმწიფო საგეგმო კომისიასთან, ხოლო ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალ რესპუბლიკებში მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტებთან მოეწყოს ეკონომიური სექციები.

2. ამიერკავკასიის საბჭოთა მშენებლობისა და სამართლის ინსტიტუტი ლიკვიდირებულ იქნეს და რესპუბლიკანურ მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტებთან მოეწყოს სათანადო სექციები, რომელთა შორისაც ამიერკავკასიის ინსტიტუტისათვის გადადებული სახსარი სათანადოდ იქნეს განაწილებული.

3. ლენინის სახელობის სრულიად საკავშირო სასოფლო-სამეურნეო მეცნიერებათა აკადემიის ამიერკავკასიის განყოფილება დატოვებულ იქნეს და მოეწყოს მასთან საგეგმო და საორგანიზაციო სექტორები.

4. ამიერკავკასიის ნაგებობათა სამეცნიერო-საკვლევო ინსტიტუტი დატოვებულ იქნეს და დაეკისროს მას საქართველოს სსრ-თვის მომსახურეობის გაწევის ფუნქციები. სომხეთის სსრ-ში და აზერბაიჯანის სსრ ში მოეწყოს ამ ინსტიტუტის ფილიალები.

5. ამიერკავკასიის სასოფლო მეურნეობის სოციალისტური რეკონსტრუქციის ინსტიტუტი ლიკვიდირებულ იქნეს და ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალ რესპუბლიკებში მოეწყოს ინსტიტუტები საკოლმეურნეო სექციებით. ამ ინსტიტუტებმა თავიანთი მუშაობა უნდა აწარმოონ ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების მიწათმოქმედების სახალხო კომისარისტებისა და საკოლმეურნეო ცენტრების ხელმძღვანელობით.

ამიერკავკასიის ინსტიტუტის ლიკვიდაციის დროს მომუშავეთა ნაწილი გადაეცეს სომხეთის სსრ-ისა და აზერბაიჯანის სსრ-ის ინსტიტუტებს.

6. ამიერკავკასიის მეაბრეშუმეობისა და აბრეშუმმცოდნეობის სამეცნიერო-საკვლევო ინსტიტუტი რეორგანიზებულ იქნეს საქართველოს ინსტიტუტად.

ნუხის (ყოფ. განჯის) მეაბრეშუმეობის სადგური რეორგანიზებულ იქნეს აზერბაიჯანის მეაბრეშუმეობისა და აბრეშუმმცოდნეობის სამეცნიერო-საკვლევო ინსტიტუტად. კადრების ნაწილი ტფილისიდან წარიგზავნოს ქ. ნუხაში.

ა/კსფსრ სახალხო კომისართა
საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე **ტერ-გაბრიელიანი.**

ა/კსფსრ სახალხო კომისართა
საბჭოს საქმეთა მმართველი **ა. შავერდოვი.**

1932 წ. იანვრის 23.
№ 448.
ტფილისი.

დადგენილება ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსი.

30. სახელმწიფო არბიტრაჟის ორგანოების მუშაობის განმტკიცების ღონისძიებათა შესახებ.

1. დაეკისროს ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსთან არსებულ სახელმწიფო არბიტრაჟს ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების სახალხო კომისართა საბჭოებთან და ა/კსფსრ უწყებებთან არსებული არბიტრაჟების ინსტრუქტირება.

2. მიენდოს ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების სახალხო კომისართა საბჭოებს—დააკისრონ მათთან არსებულ სახელმწიფო არბიტრაჟებს ავტონომიური რესპუბლიკებისა და ოლქების ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტებთან არსებული არბიტრაჟებისა და რესპუბლიკანური საუწყებო არბიტრაჟების ინსტრუქტირება.

3. მიენდოს ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსთან არსებულ სახელმწიფო არბიტრაჟს—მოიწვიოს ხოლმე პერიოდულად, წელიწადში ოთხჯერ მაინც, რესპუბლიკანური (ავტონომიური ოლქებისაც) და საუწყებო არბიტრაჟების თათბირები და, საჭიროებისადამიხედვით, აწარმოოს მათი მოქმედების გამოკვლევა.

4. უფლება მიეცეს ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსთან მყოფ მთავარ არბიტრს და ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების სახალხო კომისართა საბჭოებთან და ავტონომიური რესპუბლიკებისა და ოლქების ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტებთან მყოფ მთავარ არბიტრებს—აღძრან ხოლმე თავიანთი ინიციატივით საქმეები, უკეთუ არსებობს ცნობები ხელშეკრულებების

-288

ეროვნული ბიბლიოთეკა

დარღვევის შესახებ. ამასთანავე, უნდა მიექცეს განსაკუთრებული ყურადღება ისეთ შემთხვევას, როდესაც დაცული არ არის ხელშეკრულებებით გათვალისწინებული პირობები პროდუქციის თვისების შესახებ.

5. უფლება მიეცეს მე-4 მუხლში აღნიშნულ მთავარ არბიტრებს—დაადვან ხოლმე სამეურნეო ორგანოების ხელმძღვანელთ და მთავარ ბუხჰალტრებს ფულადი გადასახდელი თვიური ჯამაგირის ფარგლებში აღნუსხვისა და ანგარიშგების არაწესიერად დაყენებისა და თავმინებებლობისათვის.

ა/კსფსრ სახალხო კომისართა
საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე **ტერ-გაბრიელიანი.**

ა/კსფსრ სახალხო კომისართა
საბჭოს საქმეთა მმართველი **ა. შავერდოვი.**

1932 წ. იანვრის 23.
№ 449.
ტფილისი.

მთავლიტი № 793. საქართველოს სახკომსაბჭოს სტამბა. ტირაჟი 1.400